

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N002/20<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სალომე ბერიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა

მოსარჩელის ადვოკატმა სამოქალაქო დავის განხილვისას მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლოს წარუდგინა მინდობილობა, რომელიც გაცემული იყო მოსარჩელის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ. სხდომის დასრულების შემდეგ, შუამდგომლობის ტექსტზე მუშაობისას, აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გაცხადების უფლებამოსილება და ორივე მხარის მიმართ სარჩელის აღძვრის საფუძველი, რის შესახებაც ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია და ითხოვა გაცემული რწმუნებულების გაუქმება. ხომ არ წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი გააგრძელებს პირველი მარწმუნებლის ინტერესების დაცვას და იმავდროულად, ოპონირება მოუწევს საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაბმული მესამე პირის მოთხოვნისთვისაც? გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატს ამ ეტაპზე მის დასაცავად რაიმე პროცესუალური მოქმედება არ განუხორციელებია, გარდა სასამართლოში რწმუნებულების წარდგენისა.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს არ ეკრძალება რამდენიმე პირის წარმომადგენლობა სასამართლოში, თუმცა ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (აპკ-ის მე-6 მუხლი). ადვოკატის მიერ მოსარჩელესა და მესამე პირის ერთდროულად, ერთსა და იმავე სასამართლო პროცესში წარმომადგენლობაზე უნდა გავრცელდეს იგივე წესები, რომლებიც მოქმედებს თანამოსარჩელების ერთდროულად წარმოდგენის შემთხვევებზე, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შემთხვევაში ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ან ყველა მოსარჩელე. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა არ შეეხებოდა ადვოკატის მხრიდან საფრთხის კვლევის ვალდებულებას, კომისიამ ისაუბრა მნიშვნელოვანი საფრთხის შეფასების სტანდარტებზე ადვოკატის მიერ და მიუთითა, რომ, რა სტანდარტიც არ უნდა დადგინდეს მომავალში კომისიის მიერ, საფრთხის კვლევის ვალდებულება აკისრია ადვოკატს. ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურების განხორციელება ასეთი კვლევის ჩატარების გარეშე, იწვევს უარყოფით შედეგს როგორც ადვოკატისთვის, ასევე მისი კლიენტებისთვის და შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვისაც, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას. ასეთი კვლევის გარეშე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დამყარება პოტენციურ კლიენტებთან ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ნორმას არღვევს. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატს წარმოეშვება ურთიერთობის შეწყვეტის ვალდებულება. ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა დასაშვებია კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, თუმცა თუ სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორც აქვთ სასამართლო პროცესში მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. შესაბამისად, თანხმობის არსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს კლიენტის ინტერესები და მას უნდა ჰქონდეს უფლება გასცეს ამგვარი თანხმობა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5f02e4564a92a.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20002.20%2015.04.20.pdf>

## დასკვნა

ადვოკატი გულისხმიერად უნდა მოეკიდოს ინტერესთა კონფლიქტის საკითხის კვლევას. კლიენტთან ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ, მისი აღმოჩენის შემთხვევაში, ის ვალდებულია შეწყვიტოს ყველა წარმომადგენლობა. კლიენტის ინფორმირებული თანხმობა ყველა შემთხვევაში არ აქარწყლებს ამ ვალდებულებას, მძაფრად დაპირისპირებული პოზიციებიდან გამომდინარე. ადვოკატის მიერ საწყის ეტაპზე გამოვლენილი გულისხმიერება ან ფაქტების და ინტერესების დაუდგენლობის პირობებში მხოლოდ ერთი კლიენტის წარმოდგენა სასამართლო დავაში, თავიდან ააცილებს ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტის თანმდევ უარყოფით შედეგებს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ არსებობს კლიენტისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შესაძლებლობა და შეთანხმების ეტაპიდანვე ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები გააჩნდა როგორც მოსარჩელის, ასევე მესამე პირის მიმართ, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი უნდა ჩამოშორდეს ორივე პირის დაცვას.